პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ იანვარი _____ 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის ------ იანვრის №---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412734288), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 4 (ოთხი) ერთეული მოძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, 54 209.95 (ორმოცდათოთხმეტი ათას ორას ცხრა ათასი ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარის ღირებულების ელექტროავტომობილების სამუხტი აპარატების, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. (ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის მოედანზე კოლანდის აღმოსავლეთით (საკადასტრო კოდი №03.03.21.305) განთავსებული 2(ორი) ერთეული და ქალაქ ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩა №14-ის სამხრეთით (საკადასტრო კოდი №03.03.21.397) განთავსებული 2(ორი) ერთეული).

მუხლი 2. სარგებლობის ვადა განისაზღვროს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412734288), არსებობის ვადით.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დოკუმენტაციის გაფორმება.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი ქუთისი, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული იქნა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT230008588). 2023 წლის 23 მაისს გაფორმებული იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №252 ხელშეკრულება, ტენდერში გამარჯვებულს უნდა მოეხდინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტრო ავტომობილების სამუხტი აპარატების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულებულება განისაზღვრა 54 209.95 (ორმოცდათოთხმეტი ათას ორას ცხრა ათასი ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარით. სამუხტი აპარატების განთავსება მოხდა ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის მოედანზე კოლანდის აღმოსავლეთით (საკადასტრო კოდი 03.03.21.305) და ქალაქ ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩა №14- ის სამხრეთით (საკადასტრო კოდი 03.03.21.397).

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, განცორციელდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412734288), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, 54 209.95 (ორმოცდათოთხმეტი ათას ორას ცხრა ათასი ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარის ღირებულების ელექტროავტომობილების სამუხტი აპარატების უვადო სარგებლობაში, გადაცემა, რომლებიც განთავსებულია ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის მოედანზე კოლანდის აღმოსავლეთით (საკადასტრო კოდი 03.03.21.305) და ქალაქ ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩა №14-ის სამხრეთით (საკადასტრო კოდი 03.03.21.397). სარგებლობის ვადა განისაზღვროს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412734288), არსებობის ვადით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის „დ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

122-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება ფორმდება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და დაინტერესებულ პირს შორის. მე-4 პუნქტის შესაბამისად ,,მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, ხოლო მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას – მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ასევე, მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად, ,,5. პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. 6. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ქონება უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე გადასცეს სახელმწიფოს და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა), მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, საწარმოს, რომლის წილის ან აქციათა 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ან თავად ამ კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს“.

გამომდინარე აქედან, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისისათვის“, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი